წელ[illegible] ბათომის ფურცელ[illegible] შაბათი, 14 სექტემბერი. ფასი 15 მ.

[illegible]რჯოს საქართველოს დე[illegible]

ფუ[illegible]ი

[illegible]ხი ცვლი-

იმპერიალისტებს.

ჩემი აზრით, ყველა ისინი [illegible] ჰფიქრობდა გაემდიდრებინა არა მ[illegible] მელნი უნდა მოისპონ. ეს არ[illegible] შეხედულება იმპერიალიზ[illegible]

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . . 20 მან.

4 „ „ „ . . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება საკონსულოს ყოფილ ბინაზე, დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაევსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 5 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო. № 5

სალამი ძვირფას სტუმრებს!

გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას!

02569/4

ბათომი 14 სექტემბერი.

საპატიო სტუმრები.

შავი ზღვის ნაპირზე დემოკრატიის აღზრდის ისტორ. ბათუმში, მშრომელი საქართველო თეთრი გულით და უსაზღვრო სიხარულით ეგებება საერთაშორისო დემოკრატიის მცხოვანბელადებს. კარლ კაუცკი, ვანდერველდე, რენოდელი, ტომას შოუ, მისს სნოუდენი, დე ბრიუკერი და მაკდონალდი სახელმწიფოებრივ—დემოკრატიული და რევოლიუციური სოციალ-დემოკრატები არიან.

ჩვენი სტუმრები ინტერნაციონალური დემოკრატიის რჩეული და საამაყო წარმომადგენლები არიან, რომელ დემოკრატიის გზა და სიტყვა არის თანდათანობით ძველის დატოვება, ახალ მშობიარობისთვის ნიადაგის ყოველ მხრით მომზადება და ასე შეუჩერებელი სიარული სრულ გადაახლებისკენ.

საქართველოს დემოკრატია დასაბამიდანვე ამ გზით ვიდოდა. ქართველი დემოკრატია რევოლუციური და მებრძოლი იყო და არის, მაგრამ ქართველ დემოკრატიას გონიერებისთვის და საკუთარ მეცნიერებისთვის არასოდეს უღალატნია, ქართველ დემოკრატიას ხალხი არასოდეს არ მიუცია მსხვერპლად რომელიმე უკიდურესობისთვის. ძლიერი თავის ნების ყოფით და შეგნებით, მაგრამ დინჯი და საღად მოაზროვნე საშემოქმედო ასპარეზზე, დემოკრატია საქართველოისა საპატიო სტუმრებს ჩაახედებს საქართველოს სარკეში...

ქართველმა დემოკრატიამ გამხრწნელ ქაოსში, საყოველთაო რღვევანგრევაში ააგო რესპუბლიკა და შეუნარჩუნა მშრომელ საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობ...

ძვირფასი სტუმრები გადაავლებენ თვალს ჩვენს დემოკრატიულ წეწყობილებას და დაინახავენ თუ როგორი მშენებელი ყოფილა დემოკრატია თავისებურ სახელმწიფოისა...

ქართველი დემოკრ,ტია ბუმბერაზ მასწავლებლებს მოუსმენს და კვლავ მიიღებს მათგ[illegible]ჩ[illegible]ა დარიგებას.

ძვირფასი[illegible]ოველოსთვის ეს დღე: საერთაშორისო დემოკრატია ჩვენთან არის...

დღეს დემოკრატია მსოფლიო მოვლენაა. მას ყველგან ანგარიშს უწევენ და უაღრესად სასურველია ამ დემოკრატიის ურთერთობის განმტკიცება და გამაგრება. ინტერნაციონალის საამაყო დელეგაცია უშუამავლოდ დაინახავს და გაეცნობა საქართველოს დემოკრატიის თავდადებულ ბრძოლის ნაყოფს.

ჩვენი მდგომარეობა ამიერიდან საერთაშორისო დემოკრატიის ოჯახში შეიქმნება ნათელი და მტკიცე.

საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც ქართველ დემოკრატიის საღი აქტი იყო 26 მაისს 1918 წ. მშრომელ მასის ბალშევიკურ ტრაღიზმისგან გადასარჩენად, დიდი ხანია გულწრფელ მეგობრებს და აქტიურ თანამგრძნობთ ხედავს ინტერნაციონალურ დემოკრატიაში.

ვესალმებით საპატიო სტუმრებს. .

ძლიერება და გამარჯვება საერთაშორისო დემოკრატიას!..

საქართველოს დემოკრატია აღფრთოვანებით ეგებება ევროპის მუშათა კლასის ბელადებს. ამ აღფრთოვანებას და სიხარულს აქვს ღრმა მიზეზი

საქართველოს პროლეტარიატი მუდამ თავის მოკავშირეთ და ერთგულ თანამებრძოლათ იგულებდა ინტერნაციონალს. უკიდურეს გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს ჩვენი თვალები და გულისყური მიმართული იყო საერთაშორისო დემოკრატიისაკენ, მისგან ველოდით ჩვენ გულწრფელად უანგარო დახმარებას, მის გამარჯვებას ჩვენს გამარჯვებათ ვსთვლიდით, მის სიძლიერეს, საკუთარ ძლევა-მოსილებით მივიჩნევდით. პირველათ სოციალისტურმა ინტერნაციონალმა აღიარა ჩვენი დემოკრატიის გეზის სისწორე და საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო. ამრიგათ არა მარტო საქართველოს პროლეტარიატი, რომელიც დიდი ხანია სდგას ინტერნაციონალის რაზმების რიგში, არამედ მთელი დემოკრატია იცნობს ინტერნაციონალს, როგორც ჩაგრულთა საუკეთესო მეგობარს და დამცველს. ამიტომ კ მთელი ხალხის სიხარულს საზღვარი არ აქვს.

საქართველოს პროლეტარიატი და მასთან ერთად მთელი დემოკრატია, ორ წელზე მეტია საკუთარ დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს. ის თამამათ შესდგა დამოუკიდებელ მოქმედების გზაზე და საკუთარი ცხოვრების შენება თვითვე დაიწყო. ძნელი და მძიმე იყო ეს მუშაობა. ურიცხვი მტერი გარს ეხვია სოციალისტურ საქართველოს, მაგრამ მან შესძლო მათი მოგერიება და უსწორო ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. და ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს პროლეტარიატს კარგათ ქონდა შეგნებული, რომ კაპიტალისტურათ ჩამორჩენილ ქვეყანაში კომუნისტური ექსპერიმენტები მას დაღუპვის კარამდის მიიყვანდა და ამიტომაც ის შეეცადა დემოკრატიის მთლიანობის დაცვას. და ეს კიდეც შესძლო მან.

საქართველოს პროლეტარიატმა გარს შემოიკრიბა მთელი დემოკრატია, განსაცდელის წინ გაერთიანა მთელი ერი თავის გარშემო და მით სამშობლო განადგურებას გადაარჩინა. პროლეტარიატმა თვით აიღო ხელი დიქტატურაზე, მაგრამ ამავე დროს თვის მორალური და, პოლიტიკური მეთაურობა შეინარჩუნა. ეს არის მისი დიდი გამარჯვება ამიტომ ჩვენს ძვირფას სტუმრებს და ძველს მასწავლებლებს, რომელთა ნაწერებზე აღიზარდა ჩვენი ახალი თაობა, საქართველოს პროლეტარიატი გულღიათ და თამამად ხვდება.

ამიერიდან უფრო მჭიდრო და ძლიერი კავშირი უნდა გაიბას საქართველოსა და განახლებულ ევროპას შორის. ამ დაახლოვებას უსათუოდ ხელს შეუწყობს დელეგაციის ჩამოსვლა.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენი სალამი.

დღეს ბათომში მოველით ევროპიდან სოციალისტურ დელეგაციას.

საქართველოს მშრომელი მასამ, რომელიც მუდამ ევროპის მუშათა კლასის ბრძოლით ხელმძღვანელობდა, რომელმაც საკუთარი სახელმწიფოს აშენებას საფუძვლად ჰეშმარიტი დემოკრატიის პრინციპები დაუდვა, გრძნობს თუ რა მნიშვნელობა აქვს მისთვის სოციალისტურ დელეგაციას.

საქართველოს მშრომელი მასა არ ხვდება ძვირფას სტუმრებს წინასწარ აღებულ აზრით—რომ ჩვენი წყობილება საუკეთესო რამ არის და თქვენ უნდა აქოთო, როგორც ეს მოსკოვში მოხდა.

ჩვენი მშრომელი მასის ერთად ერთი მოკავშირე იმ საბედისწერო წუთებში, რომელიც მან გამოიარა ამ ორი წლის განმავლობაში, ევროპის დემოკრატია იყო.

დღეს ამ დემოკრატიის საუკეთესო წარმომდგენლებს მოველით ჩვენ.

საქართველოს დემოკრატია სიხარულით ეგებება ძვირფას სტუმრებს, რომელთა აზრს ჩვენი აღმაშენებლობის შესახებ დიდი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენს აღმაშენებლობას კარგ მხარეებთან ნაკლიც ექნება და ამ ნაკლს გარეშე უფრო შეამჩნევს.

ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის, საქართველო ერთად ერთი კუთხეა, სადაც მშრომელი ხალხის ბატონობაა განმტკიცებული, სადაც რევოლიუციით მონაპოვარი უფლებები შენარჩუნებულია, სადაც ისეთ სოციალურსა და ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებენ, რომელიც საშვალებას მოგვცემს უმტკივნეულოდ მოვახდინოთ სოციალისტურ წყობილებაში გადასვლა.

ყველა ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი მშრომელი მასის მებაირაღტრე და ხელმძღვანელი მუდამ იყო სოციალ დემოკრატია, რომელმაც საქართველოს მშრომელ ხალხს ჩაუნერგა გულში და შეათვისებია ევროპის მუშათა კლასის ბრძოლის მეთოდები.

მეცნიერული სოციალიზმის გზით სვლამ ბრწყინვალეთ გამოგვიყვანა ყოველგვარ განსაცდელისაგან და იმ დროს როცა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ვეებერთელა სივრცეზე სამოქალაქო ომის ტალღები გადიგადმოდიან, ჩვენში შედარებით მყუდროება და მშვიდობიანობა სუფევს.

სიხარულით ვეგებებით ევროპის მუშათა კლასის წარმომადგენლებს.

ჩვენი სალამი ძვირფას სტუმრებს!

გაუმარჯოს ევროპის მუშათა კლასს!

ე. ფ.

კომუნიზმის ახალი მოკავშირეები.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება ენვერ-ფაშას მიმართვა ალმოსავლეთის ხალხთა ყრილობის მიმართ.

ოსმალეთის დაღუპვის კარამდი მიმყვანი ენვერ-ფაშა, ენვერ-ფაშა რომლის ხელები სომხის უმანკო ბავშვების და ქალების სისხლშია ამოსვრილი, კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ერთ[illegible] ძალას იმპერ[illegible]

მუნიზმის მოიქულებს ამხანაგებს უწოდებს.

ჩვენ დიდი ხანია ვხედავდით, რომ კომუნიზმის გზა სრულიად გადასცდა ჭეშმარიტ სოციალისტურ გზას, მაგრამ ის კი არ გვეგონა თუ ასე აშკარა შეიქნებოდა კავშირი წითელ კომუნიზმისა და აზიურ დესპოტიზმის წარმომადგენლებთა შორის.

დღეს ეს არშიყობა ორ თითქოს ანტიპოდებს შორის ყოველივე საზღვარს გადასცილდა.

ახლა უკვე საერთო ბრძოლაზე კი არ არის ლაპარაკი ან აღმოსავლეთის ,,გაბურჟუებაზე", არამედ საქმე გვაქვს აღმოსავლეთის ,,გაკომუნისტებასთან'', და ამ გაკომუნისტებულ აღმოსავლეთის მეთაურები კვლავ ის ნაცნობი პირებია, რომელთა სახელები ცნობილია, როგორც დესპოტების, აზიური-ველური იმპერიალიზმის წარმომადგენლების და ხომეხთა ჟლეტისმომწყობთა.

ენვერი, ტალაატი, ქემალ-ფაშა და სხვები—ა[illegible] ვისი სახელებითაა აჭრელებული ოსმალეთის სისხლით დაწერილი ისტორიის ფურცლები.

ენვერი, ტალაპტი, ქემალ-ფაშა და სხვები—აი ვინ არიან დღეს „გაკომუნისტებულ" აღმოსავლეთის ხელმძღვანელები—აი ვინ უძღვნის სალამს, ერთგულებ'ში და სიყვარულში ეფიცება მ[illegible]სამე ინტერნაციონალს.

„ჩვენ გვსურს ბედნიერება მივანიჭოთ მშრომელებს, ე. ი. ჩვენ იმისი წინააღმდეგი ვართ, რომ სპეკულიანტებმა, უცხოელები იქნებიან ესენი, თუ ადგილობრივი, ისარგებლონ სხვისი შრომის ნაყოფით.''

გეგონებათ ეს ამონაწერი კომუნისტურ გ[illegible]ზეთიდან იყოს ამოღებული.

სულ მცირე ხანი დასჭირდა ენვერ-ფაშას, რომ მოსკოვში ყოფნის დროს კომუნისტური ჟარგონ[illegible] ადტონი შეეთვისებია.

ადამიანი, რომელმაც თავის მმართველობის დროს გაამეფა წმინდა აღმოსავლური, დესპოტიური მეთოდები მართვა-გამგეობისა, მშრომელთა ინტერესებზე ლაპარაკობს!

,,ამხანაგებო! ჩვენ წინააღმდეგი ვართ ომისა, ე. ი. იმის წინააღმდეგი, რომ ძალა უფლების მოსაპოვებლად ხალხი ერთმანეთს აღრჩობდეს.''

ამას ლაპარაკობს კაცი, რომელმაც ოსმალეთი დამღუპველი ომის მონაწილედ გახადა, კაცი, რომელიც მთელ ამიერ-კავკასიის დაპყრობაზე და დიდი ოსმალეთის იმპერიის შექმნაზე ოცნებობდა, რომელიც საქართველოს დემოკრატიას სასიკვდილო ლახვარის ჩაცემას უპირებდა.

საქართველოს დემოკრატიამ დიდი ხანია ლირსეულათ დააფასა რუსული კომუნიზმი, დღეს ამ ურყოფითი შეხედულობას კომუნიზმზე—ერთი თვალსაჩინო არგუმენტი მიეცა.

საქართველოს დემოკრატიას კარგად ახსოვს 1918 წლის მწარე დღეები, როცა ოსმალეთის ურდოები მთელს ჩვენს ერს და დიდი რევოლიუციით მონაპოვარ უფლებებს განადგურებას უპირებდა, იცის თუ ვინ იყო ოსმალეთის პოლიტიკის სულის ჩამდგმელი, იცის თუ ვინ აძლევდა დირექტივებს ენვეხიფ-ფაშებს და სხვებს, და ვერ დაიჯერებს მათ გაკომუნისტებას.

ვერც იმათ სოციალისტობას დაიჯერებს ჩვენი დემოკრატია, რომლებიც მოგობრულ ხელს უწვდიან ბარბაროსული იმპერიალიზმის წარმომადგენლებს.

რუსეთის კომუნიზმმა საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ევროპის მუშათა მოძრაობასთან, სოციალიზმისათვის ბრძოლის კულტურულ, ევროპეულ მეთოდებთან და თავისი ბედი შავბნელი საქმეების გმირების ბედს დაუკავშირა.

მუშათა კლასი წინააღმდეგია ევროპის მმართველი წრეების კოლონიალური პოლიტიკის და მტაცებელი იმპერიალიზმის, ის მოითხოვს აღმოსავლეთის ხალხთა ევროპის ოპეკისაგან განთავისუფლებას, მაგრამ აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში არასდროს არ გაიხდის თავის „ამხანაგებათ'' ენვერებს, თალაათებს, ქემალ-ფაშებს და სხვებს

,,ახალმა კომუნისტმა'' ამას წინათ ჩვენი კონტრრევოლიუციონეროობის დასამტკიცებლად ნ. ნ. ჟორდანიას ფრაზა მოიყვანა—ევროპის იმპერიალისტები გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო.

რასაკვირველია, ჩვენ, რომლებსაც არაფერი საერთო იმათთან არა გვაქვს ვინც გუშინ განადგურებას გვიპირებდა თავისი ურდოებით, კონტრრევოლიუციონერები ვართ.

კომუნისტები კი, რომლებმაც ბრესტში ოსმალეთის იმპერიალიზმს ბათომი და ბათომის ოლქი მისცეს, რევოლიუციონერები არიან და ამხანაგურ ხელს უწვდიან ენვერ-ფაშას, რომელიც მაშინ ოსმალეთის იმპერიალიზმის პირველი მედროშე იყო.

გასაკვირი არ არის ამის შემდეგ რომ კარლ კაუცკი „ნაყარი'' და რენეგატი იყოს საქ. ,,სოც.-დემოკრატიული პარტია კი ,,სანაგვე'' ალბერტ [illegible] და სხვა.

იმ ხალ[illegible] განასაკვირველი [illegible]ია მოხდა—მეცნიერულ სოციალიზმის მაგიერ აღმოსავლეთის ხალხთა ფანატიზმზე და ბნელ ინსტიკტებზე აგებენ თავის პოლიტიკას. რასაკვირველია მეცნიერული სოციალიზმის საუკეთესო წარმომადგენლები სიმპატიებით ვერ ისარგებლებენ.

კომუნიზმი საბოლოოდ გაიხრწნა და დაკნინდა, და თუ კიდევ შერჩენია რიხიანი და ყოყოჩა კილო მხოლოდ იმიტომ, რომ გალმა გაედავე და გამოლმა შეგრჩებას პოლიტიკას აწარმოებს.

მოგვილოცავს კომუნისტებისათვის ესეთი ,,სახელოვანი'' ამხანაგების შეძენა, როგორც ენვერი, თალაათი და ქემალ-ფაშა არიან.

ე—ნი.

მოსკოვის რადიო.

(მიღებულია 11 სექტემბერს)

ოპერატიული ცნობა.

სამხრეთ—დასავლეთის ფრონტზე გრძელდება ადგილობრივი ხასიათის ბრძოლები. ბრესტ-ლიტოვსკის მიმართულებით გრძელდება ბრძოლა სადგურ ჟმერინკის რაიონში. ვლოდავისა და ვლადიმირ—ვოლინის რაიონში ჩვენი ნაწილები ებრძვიან მოწინააღმდეგეს, რომელიც ზოგიერთ ადგილებში მდინარე ღასავლეთის ბუგზე გადმოვიდა. ლვოვის მიმართულებით მკაცრი ბრძოლებია დ. ბუსკის შესანარჩუნებლათ, ხელთ ჩავიგდეთ 100 ტყვე და 2 ზარბაზანი. როგატინის რაიონში მკაცრი ბრძოლებია.

ყირიმის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს სოფლების რიგი ორეხოვიდან 20—35 ვერსტზე.

საერთაშორისო სოციალისტური დელეგაცია საქართველოში.

თათბირი.

სექტემბრის 11-ს საგანგებო კომისრის სამმართველოში ქალაქის თავის თანდასწრებით გაიმართა თათბირი ინტერნაციონალის სტუმრების შეხვედრის მოსაწყობად.

არჩეულ იქნა ორი კომისია პოლიტიკური და ტეხნიკური. ოლქის მთავრობის წარმომადგენელად საგანგებო კომისარმა დანიშნა გენერალი მდივანი. დელეგაციის მოსვლის დღეს მილიცია ქალაქის თავს ექვემდებარება.

თბილისიდან ჩამოვიდენ მთავრობის წარმომადგენელი კ. ბ. საბახტარაშვილი, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ი. ი. რამიშვილი, პრესის წარმომადგენელი და სხვა.

შეხვედრის წესრიგი.

კომისიამ, რომელშიც შედიან წარმომადგენლები საგანგებო კომისარის, ქალაქის თვითმართველობის, პროფ. კავშირთა სეკრეტარიატის, შრომის კომისარიატის, რკინისგზელების და სოციალისტური პარტიების, 12 სექტემბრის სხდომაზე გამოიმუშავა გეგმა სოციალისტური დელეგაციის შესახვედრათ.

1. მუშაობა ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებაში, ფაბრიკა ქარხნებში, ნავთსადგურში, აგრეთვე ვაჭრობა ყველა დუქნებში, სავაჭროებში, რესტორანებში, გარდა იმ დაწესებულებებისა, რომლის შეჩერება შეუძლებელია, როგორიცაა მაგ. წყალსადენი, ელექტრონის სადგური, რკინის, გზა, საავადმყოფოები და ფურნეები შეწყეტილი უნდა იქნეს.

რესტორანები და სარძეველები გაიღება მუშათა სასახლესთან მიტინგის დამთავრების შემდეგ.

2. ყველა პროფესიონალური კავშირები, თავიანთ გამგეობის მეთაურობით, დროშებით და პლაკატებით იკრიბებიან ზღვის პირათ ნავთსადგურში, სადაც გაჩერდება გემი „ფრანც-ფერდინანდი", რომელითაც დელეგაცია ჩამოვა.

3. გვარდიელები მიიღებენ მონაწილეობას შეხვედრაში, როგორც პროფ. კავშირის წევრები.

4. გემის მოსვლის შემდეგ დელეგაციას შეხვდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათაპარტიის ცენტრალურ კომიტეტის, მთავრობის, ბათომის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის და ქალაქის თვით-[illegible]ლობის წარმომადგენლები.

[illegible]ისალმების სიტყვას იტყვის ს. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი.

5. ნავთსადგურიდან დელეგაცია გამოდის პროფ. კავშირებთან, სადაც მას მიესალმება სეკრეტარიატის წარმომადგენელი.

ამის შემდეგ დელეგაცია გაემართება სპეციალურ მატარებელისაკენ, აზიზიეს მოედანზე.

პროფესიონალური კავშირები კი გაემართებიან მუშათა სასახლისაკენ, და დაიწყობიან მარინესა და ზღვის ქუჩების კუთხეებში.

6. ნახევარი საათის დასვენების შემდეგ დელეგაცია მოვა მუშათა სასახლეში, რის შემდეგაც გაიმართება მიტინგი.

მიტინგს ხსნის და ხელმძღვანელობს პროფ. კავშირთა სეკრეტარიატის თავმჯდომარე. სიტყვებს წარმოსთქვამენ სეკრეტარიატის, ქალაქის თვითმართველობისა და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები. ორკესტრი მიტინგის დაწყებისას და დამთავრებისას შეასრულებს ეროვნულ ჰიმნს და ინტერნაციონალს.

მიტინგის ლოზუნგები: გაუმარჯოს ხალხთა ერთობას და ძმობას! გაუმარჯოს ინტერნაციონალს! გაუმარჯოს სოციალიზმს!"

7. მიტინგის შემდეგ დელეგაცია მატარებლით დაივლის მახინჯაურს, ბოტანიკურ ბაღს, ზელიონი მისს და ჩაქვს. დელეგაცია დაათვალიერებს ბოტანიკურ ბაღს.

8. მოგზაურობის და ბაღის დათვალიერობის შემდეგ საზოგადო საკრებულოს ბაღში დელეგაციას პროფ კავშირთა სეკრეტარიატი და ქალაქის თვითმართველობა უმართავს სადილს.

9 საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შედგება ქალაქის საბჭოს საგანგებო სხდომა. სიტყვებს წარმოსთქვამენ: საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქის თავი და ფრაქციათა წარმომადგენლები.

10. საღამოს 10 საათზე დელეგაციის მატარებელი პროფ. კავშირთა და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაემგზავრება თბილისს.

ძველი დღიურიდან.

...ქუჩებში რკინის კაცები დადიან...

აქ ყველაფერი ფოლადიანია... გუშინ ვილჰელმს საიუმლო თათბირი ჰქონდა მინისტრებთან, სოციალისტებიც დაპატიჟა, მაგრამ არ მისულან. გერმანეთის ჯარში კრიზისია. ცოცხალი. ძალა ი[illegible]ბა და მკვდარი ტეხნიკა რჩება უხელოთ... ავსტრიიდან ცუდი ცნობები მოდის. ფრანც-იოსებთან გაიყოლა ავსტრიის ხელმწიფებმა, ავსტრიის ჯარი მეომრის რიგიდან გამოვიდა... ბულგრეთსა და ოსმალეთში უთანხმოებაა. შემხვდა ერთი მოხეტიალე ემიგრანტი ქართველი და მითხრა გერმანია დამარცხების წინაშე სდგას: ან ზავი ან რევოლუციაო...

წუხელის პოლიცამ შეიპყრო მუშათა კრება... კრება ჯარში აგიტაციას აწყობდა. ვილჰელმმა ბრძანება გასცა გადამწყვეტი შეტევა დაიწყონ ფრანგ-ინგლისელების წინააღმდეგ.

ბისმარკის და მოლტკე[illegible] ქვეყანა

გაუარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვლას აპირებს. ხალხი ცვლილებას ელის...

ბერლინი ნერვიული შეიქმნა. .

ხმა გავრცელდა საქართველოდან გერმანელები წამოვიდენ და თბილისი დენიკინმა დაიკავა.

რკინის კაცებს სრული მოქანცულობა და მოდუნება დაეტყოთ, ინტელიგენცია თეატრალურ მაცქერალს დაემსგავსა მოვლენების შეფასებაში ..

ბრძოლის უკანასკნელ შეტევების შედეგებს საბედისწეროდ სთვლი!..

ჩვენ გვტანჯავს იდუმალება თუ როგორი იქნება ბედი საქართველოისა...

ცენტრალუ კავშირს ომის ქარცეცხლი სიკვდილს უპირებს... შენ რა მოგივა პატარა საქართველოვ!..

დაუნდობელი და დღიურ ცვალებადობის სპეკტაკლია ეს დრო

გამარჯვებული გერმანია დამარცხებას ელის...

შემომქმედო მაღალო! ჰფარავდე მცირე ერებს და ჩემ სამშობლო საქართველოს...

ირაკლი

1918 წ.

ენვერის მიმართვა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილოგას.*)

ბაქო, 8 სექტ. აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობაზე წაკითხულ იყო შემდეგი წერილობითი მიმართვა ენვერ ფაშისა ყრილობისადმი:

„ამხანაგებო! მე მადლობას ვუხდი ჩემი და ჩემი ამხანაგების სახელით მესამე ინტერნაციონალს და იმის პრეზიდიუმს, რომელმაც მოგვცა, ჩვენ, მებრძოლთ მსოფლიო იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ შეძლება ბაქოში შევკრებილიყავით.

ჩვენ ბედნიერათა ვსთვლით ჩვენ თავს, რომ წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმისა, რომელიც არ კმაყოფილდება ჩვენი გაცარცვით და გაშიშვლებით, სცდილობს დალიოს ჩვენი სისხლი და მოგვსპოს და წინააღმდეგ ევროპიელთა მატყუარა პოლიტიკებისა, ჩვენ ვდგევართ იმნაირ მოკავშირეების გვერდით, რომელიც ერთგულია და მართალი, მე-3-ეინტერნაციონალთან.

როდესაც ოსმალეთმა დაიწყო ომი, მსოფლიო ორ ბანაკად იყო გაყოფილი, ერთში იყო ძველი იმპერიალისტური მეფური რუსეთი და მისი მოკავშირეები, მეორეში—აგრეთვე იმპერიალისტური და კაპიტალისტური გერმანია და მისი მოკავშირეები. ამ ორ ჯგუფებში ჩვენ ვიდექით გერმანიის მხარეზე, რადგანაც იგი ჩვენ სიცოცხლის ჩუქებას მაინც დაგვპირდა, და ვებრძოდით მეფურ რუსეთს, ინგლისს და სხვებს, რომელთაც სურდათ ჩვენი სრულიად მოსპობა.

მსოფლიო ომის დროს მე უუმნიმშვნელოვანესი ადგილი მეჭირა. გარწმუნებთ, მე დიდათ ვწუხვარ: რომ ჩვენ იძულებულნი ვიყავით გერმანიის იმპერიალიზმის მხარეზე გვებრძოლნა.

მე არ მიყვარს გერმანიის იმპერიალიზმი და ვწყევლი მას ისე, როგორც ინგლისის იმპერიალიზმს და იმპერიალისტებს.

ჩემი აზრით, ყველა ისინი ვინც ჰფიქრობდა გაემდიდრებინა არამშრომელნი უნდა მოისპონ. ეს არის ჩემი შეხედულება იმპერიალიზმის შესახებ.

ჯარი, რომელიც ამ ჟამად გმირულ ბრძოლას აწარმოებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ და თავის ძალებს ჰკრებს გლეხობისაგან, როგორც უკვე ვსთქვი, არ დამარცხებულა; მან მხოლოდ დროებით დაჰყარა იარაღი. იმ ჟამად, 15 წლის ბრძოლის შემდეგ ეს ჯარი, ყოველგვარ საჭირო საგნებს მოკლებული უკვე ორი წელია ბრძოლას აწარმოებს. ახლანდელი ბრძოლა არ შეიძლება შეედაროს წინანდელს.

ხედავს რა, რომ ეხლა აღმოსავლეთის მე-3 ინტერნაციონალთან ერთად, ე. ი. მთელი ქვეყნის დაჩაგრულნი, მხარს უჭერენ მის სამართლიან მოთხოვნილებებს, იგი აღსავსეა გამარჯვების გადაწყვეტილი იმედით

ეხლანდელი კონგრესი ახალ ძალებს შეჰმატებს წითელ არმიას, რომელიც ჰღვრის თავის სისხლს ტანჯულთა დასაცავად და აგრეთვე გაალონიერებს ოსმალეთის მებრძოლებს-ამასთანავე ეს კონგრესი ხელს შეუწყობს იმას, რომ ეს ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით ე. ი. ჰეშმარიტების გამარჯვებით დამთავრდეს. მე ვე ინტერნაციონალისაკენ ჩვენ მივისწრაფოდით არა მარტო იმიტომ, რომ გვეპოვნა ჩვენ მიერ დაწყებული ბრძოლის მხარის დამჭერი. შეძლება, რომ იმავე დროს, ამის მიზეზი—პრინციპების სიახლოვეც არის. ჩვენ ჩვენს რევოლიუციონურ ძალას მუდამ ხალხიდან ვკრებდით, ხალხის დაჩაგრულ ნაწილიდან ე. ი. ჩვენი გლეხობიდან. თუ ჩვენი ქარხნების მუშები ძლიერნი ყოფილიყვნენ—მე იმათ ,ირველათ მოვიხსენიებდი. ისინი ჩვენთან იყვნენ სულიერათ და ხორციელათ ჩვენთან ერთად მუშაობდნენ. ეს ეხლაც ასე არის. ამრიგათ, ჩვენ ხალხის დაჩაგრულ ნაწილს ვემყარებოდით. ჩვენ ვგრძნობთ მის ტკივილებს, მასთან ერთადა ვსცხოვრობთ და მასთან ერთად მოვკდებით.

ამხანაგებო! ჩვენ წინააღმდეგი ვართ ომისა, ე. ი. იმის წინააღმდეგი, რომ ძალა-უფლების მოსაპოებლად ხალხი ერთმანეთს აღრჩობდეს. და სამარადისო მშვიდობიანობის მოსაპოებლათ ჩვენ მე 3 ინტერნაციონალთან ერთად მივდივართ და ამიტომ, ამ ჟამად, მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებისა, ვაწარმოებთ სისხლის მღვრელ ომს და განვაგრძობთ კიდეც მას.

ჩვენ გვსურს ბედნიერება მივანიოთ მშრომელებს, ე. ი. ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ სპეკულიანტებმა, უცხოელები იქნებიან ესენი თუ ადგილობრივი, ისარგებლონ სხვისი შრომის ნაყოფით. მათ მიმართ არაფერს არ უნდა დავერიდოთ. ჩვენ გვსურს ჩვენი ქვეყანა მიწათმოქმედების და მრეწველობის ფართედ განვითარების საერთო მუშაობის ნაყოფით სარგებლობდეს. ასეთია ჩვენი აზრი ეკონომიურ საკითხზე.

ჩვენ გვწამს, რომ მპოლოდ შეგნებულ ხალხს შეუძლია ბედნიერება და თავისუფლების მოპოვება. ჩვენ გვსურს, რომ საფუძველიანმა განვითარებამ, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენ ნამდვილ თავისუფლებას, შრომასთან ერთად გაანათლოს ჩვენი ქვეყანა და აქ ჩვენ თვის აღარ იქნება განსხვავება მამა-კაცებსა და ქალებს შორის, ეს არის ჩვენი აზრი სოციალურ პოლიტიკის შესახებ.

მე თქვენ გიცხადებთ, რომ მაროკკოს, ალაჟირის, ტუნისის, ტრიპოლიბსის, ეგვიპტის, არაბეთის და ინდოეთის რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომლებმაც მე გამომგზავნეს თავის წარმომადგენლათ, ამ მხრით სავსებით მეთანხმებიან მათ სავსებით სწამთ, რომ ყველა რევოლიუციონურ საშუალებათა გამოყენებით ისინი შეძლებენ კბილები ჩაამტვრიონ მოსისხლე მხეცებს და საბოლოოდ დააუძლურონ ისინი.

ამხანაგებო! ამ მიზნით ამოძრავებული ხელები ერთი მეორეს იზიდავს. მე მეგობრულათ ვართმევ ხელს ყველა მათ, ვინც ერთად იმუშავებენ ამ ბრძოლის დასრულებამდე, რომელიც დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ დასრულდება მხოლოდ ჩვენი გამარჯვებით.

გისურვებთ წარმატებას! გაუმარჯოს დეენილთ! ძირს მდევნელები, რომელნიც ამ კავშირს ძრწოლაში მოჰყავს.

თეატრი და ხელოვნება.

სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში.

სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეში ფიცხელი მუშაობა სწარმოებს სეზონის მოსაწყობად.

— —

11 სექ შაბათს „ბატუმსკაი ჟიზნის“ რედაქციაში შედგა კრება სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის სცენის-მოყვარეებისა, რომელზედაც გადაწყდა, რომ ყველა სცენმოყვარეები მიიღებენ დასში მონაწილეობას სრულიად უსასყიდლოდ.

სახ წარმოდ. მმართვ. წრის დასში მოწვეულ მსახიობთაგან უკვე ბათომში იმყოფებიან: ქ-ნი მარო მდივანი და კ. მარგველაშვილი, ი. ბარველი (რეჟისორად) და მსახიობ-სტუდიანტები ლამბაშიძე და ძნელაძე.

მოლაპარაკებაა გამართული მსახ. ოლ. ლოლაბერიძესთან, ყალაბეგიშვილთან და მიშა გელოვანთან.

— —

სეზონი გაიხსნება შაბათს 18 სექტემბერს გედევანიშვილის ცნობილ პიესით „მსხვერპლით“ დამსახურებულ მსახიობ ვასო აბაშიძის გასტროლით.

— —

სეზონის განმავლობაში წარმოდგენების გასამართავად წრის გამგეობამ დაიქირავა შმაევსკის თეატრი.

— —

ქართული წარმოდგენები გაიმართება თვეში ექვსჯერ.

ახალი ამბავი.

სპეკულიანტების დატუსაღება. თბილისის სისხლის სამართლის უფროსმა პ. ზ. ფაჩულიამ დაატუსაღა შემდეგი პირები, რომელთაც ბათომში „საბენკირო“ კანტორები ქონდა და ეწეოდენ სპეკულიაციას ვალიუტაზე.

ს. ვასილ პეტრეს-ძე გრამატიკოპულო 2 ვასილ ილიას-ძე ასლანიდი, 3. ირაკლი კონსტანტინეს-ძე ხარლამიდი, 4. ივანე ნიკიტას-ძე ჩეგბერდზიანი, რომელიც ვალიუტაზე სპეკულიაციას ეწეოდა, 5) ილია იაკობის შტეინგარდი, 6) გორდან კონსტანტინესძე ცუხნიკასი, 7) ისააკ სამუილის-ძე გურალნიკი, 8) მატის აბრამის-ძე კობრანსკი, 9) არონ ხაიმის-ძე რუბინჩიკი, 10. იდელ მოვშეს-ძე იდელსონი, შეკრებულ ბანკში მოსამსახურე, რომელსაც ჩეხრეკის დროს აღმოაჩნდა ფარული კასა და შიგ წიგნებში შეუტანელი 42 მილიონ მანეთის უცხოეთის ვალიუტა. 11) იაკობ იოსებისძე ვაიშენბლიტი, 12) ანასტას აპოსტოლის ძე ფაკასი, 13) სიმონ ფილიპეს ძე ნოვიცკი, 14) ევერნერი მიხეილის ძე როზენბერგი, 15) სოფოკლ აპოსტოლის ძე აპოსტოლიდი და გრიგოლ ალბოს-ძე ხეიფეცი.

ხსენებულ პირებს დატუსაღების დროს ჩამოერთვა უცხოეთის ვალიუტით 100 მილიონ მანეთზე მეტი. ყველა ეს პირები მოთავსებულია სოლქო საპყრობილეში.

— საგანგებო კომისარი ბენია ჩხიკვიშვილი სექტემბრის 11 თბილისს გაემგზავრა ინტერნაციონალის დელეგაციის შესახვედრ მზადების სახელმძღვანელოდ, როგორც თბილისის მოურავი.

— საგანგებო კომისარის თანამდებობის შესრულებას შეუდგა ჯარების სარდალი გენერალი მდივანი.

ქ ლაქის საბჭოს თავმჯდომარემ, თანახმად საბჭოს 10—სექტემბრის სადგომის დადგენილებისა, შემდეგი დეპეშები გაგზავნა:

საქართველოს მთავრობას: ბათომის ქალაქის საბჭო, შეკრებილი პირველ საქმიან სხდომაზე, მას შემდეგ რაც ქალაქი სამშობლო მხარეს დაუბრუნდა, სიხარულის ულრმესი გრძნობით მივესალმება საქართველოს მთავრობას, რომლის გონივრულმა პოლიტიკამ უმტკივნეულოდ შეუერთა ქვეყანას ძალად მოწყვეტი მისი ნაწილი და გამოასწორა ისტორიული უსამართლობა. საბჭო იწყებს რა ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოთ მუშაობას, იმედოვნებს რომ ის ერთგულ დარაჯად დაუდგება საზოგადო საქმეს, მხარში ამოუდგება მთავრობას და დაეხმარებლად იშრომებს ქალაქისა და ოლქის ასაყვავებლად, სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს სულიერად და კულტურულად სავსებით გასაერთიანებლად.

— დამფუძნებელ კრებას: „ბათომის ქალაქის საბჭო, შეკრებილი პირველ საქმიან სხდომაზე, მას შემდეგ რაც ქალაქი სამშობლო მხარეს შეუერთდა, სიხარულის ღრმა გრძნობებით მიესალმება საქართველოს დამფუძნებელ კრებას და იმედოვნებს რომ, იმუშავებს რა ქალაქისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ, მხარში ამოუდგება უმაღლეს კანონმდებელ ორგანოს და ცხოვრებაში გაატარებს მის შექმნილ კანონებს“.

ქალაქთა კავშირს: ბათომის ქალაქის საბჭო მიესალმება რესპუბლიკის ქალაქთა კავშირს და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას ქვეყნის საკეთილდღეოთ. საბჭო სიხარულით აღნიშნავს, რომ ამიერიდან ქალაქთა კავშირის ოჯახში დაუბრკოლებლივ შედის სამშობლო მხარეს უსამართლოდ მოწყვეტილი ბათომის თვითმართველობა და იმედს გამოსთქვამს რომ ის კავშირის ღირსეული წევრი იქნება.

სასჯელისაგან განთავისუფლება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა: ის ჯარის კაცნი, რომელთაც საგანგებო ამხედრო სასამართლოებით მისჯილი სქონდათ სხვა და სხვა ვადიანი კატორღა და თანახმად თავდაცვის

*) მიმართვა მცირე შემოკლებით მოგვყავს.

*) ლაპარაკია ქემალ-ფაშას ლაშკარზე.

გაუმარჯოს ინტერანციონალს! გაუმარჯოს სოციალიზმს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამჭოს დადგენილებასა გაიგზავნენ ფრონტზე, პირობით სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

— შაქარის გატანის აკრძალვა. თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: 1) დროებით აიკრძალოს რესპუბლიკის ფარგლებიდან შაქრის გატანა. 2) დროებით აიკრძალოს რესპუბლიკის ფარგლებიდან მანუფაქტურის გატანა.

— ჩვენი გაზეთის № 4 ახალ ამბებში შეცდომა შეგვეპარა: სწერია სურსათი არ მიეცა საშუალო სასწავლებელის მასწავლებელთაც, უნდა იყოს, მიეცემა საშუალო სკოლის მასწავლებელთაც.

— შეცდომის გასწორება. ქალაქის საბჭოს სხდომა, რომლის ანგარიში ჩვენი გაზეთის კვირის № ში დაიბეჭდა, იყო 10-სექტემბერს, პარასკევს, და არა 2 სექტემბერს.

უკანასკნელი საათი.

საწუხარნოთ გავიგეთ რომ ცნობილი ბოლშევიკი ბუხარინი ნოვოროსიაში ჩამოსულა და მეიაურობს შაი ზღვის ყველა საბჭოებს. ხმებია ბუხარინმა კავშირი გააბა ბათუმთანო.

სახალხო გვარდიაში.

გვარდიის დღე.

მშრომელო საქართველო!

გვარდია შენი მარჯვენია, მტერთა თავდასხმის დროს რომ მოიქნევს.

ხელი შეუწყვე მის ნივთიერ გამაგრებას. 26 სექტემბერს მის ლეგასწაულში შეიტანე შენი წვლილი.

— 15 სექტემბერს ოთხშაბათს დღის 5 საათზე ქალაქის თვითმართველობას დარბაზში დანიშნულია გვარდიის დღის მომწყობი ყველა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე დასასწრებლად კერძო ბარათებით მოწვეულია 100 კაცამდე.

— 15 სექტემბერს ოთხშაბათს დღის 4 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია გვარ იის დღის მომწყობი მთავარი კომისიის სხდომა წევრებს სთხოვენ არ დაიგვიანონ, რადგან 5 საათიდან იწყება გაერთიანებული სხდომა.

— ბათომის სახალხო გვარდიის შტაბმა, გვარდიის დღის მომწყობ მთავარ კომისიაში მოიწვია წარმომადგენლები შემდეგი დაწესებულებებიდან: 1) ქალაქის თვითმართველობიდან 2) სამხედრო უწყებიდან 3) პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატიდან. 4) ბაიუმის ს. დ. კომიტეტიდან. 5) ბათუმის ს. ფ. კომიტეტიდან, 6) რკინის გზის საარაონო კომიტეტიდან. 7) წარმომადგენების მმართველო წრის გამგეობიდან. 8) ვაჟთა გიმნაზიიდან 9) ქალთა გიმნაზიიდან.

აღნიშნულ დაწესებულებებს განმეორებით სთხოვს შტაბი გამოგვიგზავნოს წარმომადგენლები 15 სექტემბერს დღის 4 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში პირველად მთავარ კომისიის და შემდეგ გაერთიანებულ კომისიების სხდომაზე დასაწრებლად.

სახალხო გვარდიის შტაბმა ჯარების სარდალს გენ მდივანს წინადადება მისცა გამოეგზავნა გვარდიის დღესასწაულის მომწყობ კომისიაში თავის წარმომადგენელი, როგორც სამხედრო უწყების. გენ. წარმომადგენლად დანიშნა ძაიორი ალლაძე.

მუშათა ცხოვრება.

სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირში.

კვირას, 12 სექტემბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შედგა ბათომის სახელმწიფო მოსამსახურეთა საზოგადო კრება.

განსახილველი იყო კითხვები: 1) წესდებისა და ინსტრუქციის შეღება და დამტკიცება, 2) დელეგაციის შეხვედრის შესახებ. 3) ერთდროული გადასახადის შეკრება 4) სარევიზიო კომისიის არჩევნები. 5) მიმდინარე კითხვები.

კავშირის წესდება მცირე შესწორებით დამტკიცებული ცენტრალური გამგეობის ინსტრუქცია მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებული იქმნა.

დელეგაციის შეხვედრის მომწყობ კომისიაში წარმომადგენლათ. არჩეული იქმნა კრების შიერ დ. იმნაიშვილი.

სარევიზიო კომისიაში არჩეული იქმნა 3 კაცი 2 კანდიდატით:

1. გ. ჩიქოვანი, 2. ვ. ჩახვაძე და ვ. ყუფარაძე.

კანდიდატებათ: გოგეშვილი და პლ. ბოჭორიშვილი.

გამგეობას დაევალა დროებით, სანამ ერთდროული გადასახადი შეიკრიბებოდეს, გამონახოს თანხა კავშირის ოთახის მოსაწყობად მუშათა სასახლეში.

ერთდროული გადასახადი საზოგადო კრებამ 50 მ. დააწესა.

დამსწრე.

ოქმი.

ბათომის ფ. ტელ. მოსამსახურეთა საერთო კრების თავმჯდომარეებს ამ. შოთაძე მდივანს ამ. ბარამიძე. 1) წესდება, 1. მესამე ყრილობაზე გასახზავნ დელეგატების არჩევა, 2 ევროპიდან მუშათა დელეგატების შეხვედრა 3. დღიურების 4, და ბინის საკითხი.

ამხ ნაკი შოთაძე კრებას უკითხავს მოხსენებას ცენტრალურ გამგეობის შესახებ და აცნობს მათ, თუ რა გააკეთა ამ გამგეობამ მთელი წლის განმავლობაში. წინადადებას აძლევს კრებას დასახელონ კანდიდატები ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატებისა სამი კაცისაგან შემდგარი. კანდიდატებათ დასახელებულ იქმნა თორმეტი კაცი, რომელთა შორის უმრავლესობის ხმით გავიდენ ხუთი კანდიდატები შოთაძე, ბარამ ძე ღლონტი, დუმბაძე, ჩხაიძ..

2) ევროპიდან მომოვალ დელეგაციის შეხვედრის საქმის მოსაწესრიგებლად იქმნა არჩეული 7 კაცი: 1. ჭელიძე, შოთაძე, ბარამიძე, თოდოროვი. კობახიძ, ქაჯაია, დუმბაძე.

ამ. შოთაძეს წინადადება შემოაქვს თომ კახტორის უფროსს და ქსელის გამგეს მიცეს წინადადება ბესწყვეტონ მოსამსახურეების მივლინებაში გაშვება და მიეცეს წინადადება ყველა მოსამსახურეებს აუცილებლათ დაესწროს იმ დღეს, რაც გამოცხადება ხელწერილის ქვეშ, ვინც არ გამოცხადდება მათ წინააღმდეგ იქნება სასტიკი ზომები მიღებული.

ამხ შოთაძე კრებას აცნობს პროფესიანალურ კავშირის დადგენილებას დღიურების შესახებ, რაშიც კრება დარჩა სრულიად კმაყოფილი მისი მოხსენებით.

ამხ ჩხაიძემ აკეთებს მოკლე მოხსენებას ბინის შესახებ თუ რა მიზეზების გამო აქამდის არ იქნა ბინები მოძებნილი, გამოსთქვამს იმედს რომ ამ მოკლე ხანაში იქნება ყოველი ზომები მიღებული ბინების შოვნაზე.

თავმჯდომარე **ი. შოთაძე.**

მდივანი **ბარამიძე.**

ქალაქის მილიცია.

ქალაქის მილიციაში ცვლილება მოხდა, ძველი მილიციის უფროსი ბ. იმნაიშვილი სამსახურიდან გავიდა და მის ადგილას ახალი კაცია დანიშნული ბ-ნი კორშია

მილიცია ერთი უმთავრეს წერტაგანია სახელწიფოის ცხოვრებისა და ამიტომ მის სალად, ხეირიანად მოწყობას ჩვენ გული და ძალლონე უნდა მოვანდომოთ.

პირველ დროიდან მილიციის ორგანიზაცია წილად ხვდა ბ-ნ იმნაიშვილს და არსებულ პირობებში მან ეს პირნათლად შეასრულა. იმნაიშვილი იშვიათი შრომის მოყვარე კაცი იყო, მაგრამ სამწუხაროდ მის დროსაც, როგორც დღეს, ხალხში უსაზღვრო იყო მცხოვრებთა მითქმა მოთქმა, რომ მილიციელები ბოროტ მოქმედობენ, განკარგულებათ თავის დროზე არ ასრულებენ და ქრთამს იღებენო. მითქმა—მოთქმა აზიური უძლური საშვალებაა, საჭირო იყო სასამართლოს წესით ამ ამბების აბსოლიუტურ გამორკვევა მაგრამ ამ გზაზე ჩვენში ყოველთვის იგვიანებენ.

დღესაც გრძელდება საყვედურები მილიციის მამართ, მილიციელები თვრებიან, მილიციელები სახლებში ნება დაურთველად შედიან და კომისრები ძველ პრისტავებსავით ბოროტ მოქმედებენო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ამ გარემოებას სასწრაფოდ სასტიკი ყურადღება მიექცევა და მილიცია გაჯანსაღდება.

დღემდის რაც ხდებოდა, იმას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რადგან ეს ორგანიზაციული ხანა იყო, მაგრამ დღეიდან კი ჩვენ ვთხოულობთ ნამდვილ წესიერ და ჯანსაღ მილიციას. ბ-ნი იმნაიშვილი პირადათ ფრიად მუყაითი და სიმპატიური კაცი იყო, რის გამოც საზოგადოებისგან და აგრეთვე უცხოელებისგან მადლობა არა ერთხელ მიუღია, მაგრამ იმ პირობებში, რომელშიც იმნაიშვილი იყო მეტი მან ვერაფერი გააკეთა. ახლა ჯერი ახალ მილიციის უფროსზეა და მან უნდა აჩვენოს მოქალაქეებს თავის ენერგიული მუშაობა მილიციის მდგომარეობის გაუმჯობესებით.

მცხოვრები.

უცხოეთის ამბები.

ავსტრიაში.

თანახმად სტატისტიკურ ცნობებისა, რომელსაც აქვეყნებს ვენის ქალაქის თვითმართველობა, სიკვდილის რაოდენობა ძლიერ გაიზარდა.

საშუალო რიცხვით კვირაში კვდება 100 კაცი. ომის დაწყებიდან ვენის მცხოვრებთა რიცხვი 200.000-სით შემცირდა. სტატისტიკა ნათელყოფს, რომ სიკვდილის რაოდენობა ლეთი დღე იზრდება. გარდაცვალებულთა რაოდენობამ დაბადებულთა რიცხვს გადაჭარბა.

ამას ციფრებიც მოწმობს: 20-დან 26 ივნისამდი დაიბადა 494, გარდაიცვალა 531.

უირიმში.

გენ. სლაშჩევი—ყირიმელი.

გენ. სლაშჩევი, რომლის გადადგომაზე გვაცნობებდენ გაზეთები, იწოდება დღეს გენ. სლაშჩევ—ყირიმელი.

2 სექტემბერს გრაფ აპრქსინის თავმჯდომარეობით შედგა იალტის ქალაქის საბჭოს სხდომა, ხმოსანთა ერთი ჯგუფის წინადადებით საბჭომ დაადგინა: „ვინაიდან გენ. სლაშჩევმა გადაარჩინა ყირიმში არჩეული იქნას ის ქ. იალტის საბჭოს მოქალაქეთ და მისი სურათი მოთავსდეს ქალაქის თვითმართველობაში.

ახალი ტარიფი.

21 მარიამობისთვიდან დაწესდება შემდეგი ტარიფი საქართველოს რკინის გზებზე:

ტფილისიდან.

ბილეთის ფასი მან. ბარგი

სადგური.	1 კ	3 კ.		ფუთზე
მცხეთა	75	45	30	10
გორი	270	165	110	25
ხაშური	420	255	170	40
ბორჯომ-პარკი	535	320	215	50
ბაკურიანი . .	660	395	265	65
შორაპანი . .	620	375	250	60
ქუთაისი . . .	720	435	290	75
სამტრედია . .	775	465	310	30
ფოთი . . .	925	555	370	105
ბათომი . . .	1075	645	430	115
სალოლლი . .	285	170	115	25
სანაინი . . .	440	265	180	45
ავჭალა . . .	40	25	15	5

შენიშვნა 1) საბავშვო ბილეთები (5—10 წლამდე) უდრის ერთ

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან.

სარედაქციო კოლეგია.

ელექტრო მბეჭდავი სტამბა ს. ვ. შმაევსკისა. მიხაილოვის ქ. № 21, ქ. ბათუმი.